საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 27.09.2019, სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.019586) პირველი მუხლის:
ა) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. 209^3 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კოდექსის 46^5, 46^6, 55^5, 55^6, 77^1 და 77^2 მუხლებით, 82^5 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე და 107^2–107^4 მუხლებით, 114^2 მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-14 ნაწილებით, 125^2–125^4 მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135^5 და 146^1 მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 150-ე–150^3 მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^1, 151^2 და 152^3–152^9 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებითა და 153^9, 156^1, 158^3, 158^4, 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი.“.“;

ბ) მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მე-14 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 14^1 ნაწილი:

„14^1. ამ კოდექსის 46^5, 46^6, 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სამსახურის თანამდებობის პირი.“;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

15 ივლისი 2020 წ.

N6879-რს